საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№446 2020 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის 2014 წლის 18 დეკემბერს და 2016 წლის 3 ივნისს გაფორმებული ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების ფარგლებში გამოყოფილი 90 მილიონი ჟენმინბი იუანის ოდენობის უსასყიდლო დახმარების მიმღები ორგანოს განსაზღვრის და გამოყენების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №1551 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის 2014 წლის 18 დეკემბერს და 2016 წლის 3 ივნისს გაფორმებული ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების ფარგლებში გამოყოფილი 90 მილიონი ჟენმინბი იუანის ოდენობის უსასყიდლო დახმარების მიმღები ორგანოს განსაზღვრის და გამოყენების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016

წლის 28 ივლისის №1551 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით, შეიქმნას უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფი შემდეგი უწყებების მინისტრის მოადგილეების შემადგენლობით: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (საკოორდინაციო ჯგუფის თავმჯდომარე), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ასევე ეთხოვოთ შესაბამისი მუნიციპალიტეტების შესაბამის თანამდებობის პირებს აღნიშნული სააკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება. საკოორდინაციო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**